



COUNCIL OF EUROPE  
CONSEIL DE L'EUROPE  
Committee of Ministers  
Comité des Ministres

## მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2007)5 წვერი ქვეყნების მიმართ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ხელშეკრულებების დადების თაობაზე

(მიღებულია 2007 წლის 31 იანვარს, მინისტრთა კომიტეტის მიერ მინისტრთა მოადგილეების 985-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის საფუძველზე,

2003 წლის 6 ნოემბერს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორისი თანამშრომლობის შესახებ კიშინოვის პოლიტიკური დეკლარაციის გათვალისწინებით;

2005 წლის 16 მაისს, ვარშავაში ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტზე მიღებული დეკლარაციის გათვალისწინებით;

სურვილს გამოთქვამს რა, რომ წვლილი შეიტანოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტის მიზნების განხორციელებაში;

ითვალისწინებს რა, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობები საფუძველს წარმოადგენს უფრო თავისუფალი და ტოლერანტული ევროპისთვის, რაც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიული სტაბილურობის კონსოლიდაციისთვის;

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილს თავის წევრ სახელმწიფოებსა და მათს ტერიტორიულ თემებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის წახალისების და ასევე, სათანადო კონვენციებისა და სამართლებრივი ინსტრუმენტების მიღების თუ განხორციელებული ღონისძიებების საქმეში;

ითვალისწინებს რა, ევროპის 1980 წლის 21 მაისის სახელმძღვანელო კონვენციას ტერიტორიულ თემებსა თუ ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ ( თშ ო. 106), და ასევე 2005 წლის 19 იანვარის მინისტრთა კომიტეტის დეც(2005)2 რეკომენდაციას წვერი ქვეყნებისადმი ტერიტორიულ თემებსა თუ ხელისუფლებებს შორის ტრანსსასაზღვრო და ტერიტორიათაშორისი თანამშრომლობის ხელისშემშლელი ბარიერების შემცირების საუკეთესო პრაქტიკის შესახებ;

გამოსატავს რა მზაობას ხელი შეუწეოს სახელმწიფოების მიერ კიშინოვის პოლიტიკური დეკლარაციის მიზნების განხორციელებას;

წახალისებულია რა იმ ფაქტით, რომ წევრი სახელმწიფოები ისწრაფვიან მათი ხალხისა და თემების პრობლემებთან გასამკლავებლად მათი საერთო ინტერესის კონკრეტულ საკითხებზე მრავალმხრივი ხელშეკრულებების წევრები გახდნენ;

აღნიშნავს რა რომ, სანიმუშო ხელშეკრულებების შემუშავება მიზნად ისახავს თანამშრომლობის ხელშეწყობას ისეთ სფეროებში, როგორცაა ერთობლივი დახმარება ბუნებრივი თუ ადამიანის მოქმედების შედეგად გამოწვეული კატასტროფების და ადგილობრივი სასაზღვრო გადასვლების დროს. ასევე, აღნიშნავს რა, რომ ასეთი მიზნები ევროპის საბჭოს რამდენიმე სამართლებრივი ინსტრუმენტის, მაგალითისთვის, ზემოთხსენებული სახელმძღვანელო კონვენციისა და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიზნებს შეესაბამება; რეკომენდაციის სახით დასძენს, რომ წევრ სახელმწიფოთა მთავრობებმა იზრუნონ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში ახალი მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადებაზე, სადაც შესაძლებელია, ამ რეკომენდაციაზე დართული სანიმუშო ხელშეკრულების საფუძველზე;

გენერალურ მდივანს უფლებამოსილებას ანიჭებს შემდგომი დახმარება გაუწიოს დაინტერესებულ წევრ სახელმწიფოებს არსებული რესურსების შეზღუდულობის ფარგლებში, ზემოთხსენებული ხელშეკრულებების შემუშავებასა და, სადაც საჭიროა, მიღებაში.

დანართი რეკომენდაციაზე *ჩ /ლევ(2007)5*

**სანიმუშო ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის სასაზღვრო ტერიტორიებში კატასტროფების შემთხვევაში ერთობლივი დახმარების შესახებ**

.....ის მთავრობები, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნები,

ესმით რა მეზობელი მოსახლეობების, თავიანთი სახელმწიფოებისა და რეგიონების ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში, უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის მნიშვნელობა.

აღიარებენ რა სტიქიების შედეგად ადამიანებისთვის დაზიანების, დაზარალების, სოცოცხლისა თუ ქონების დაკარგვის საშიშროებას და ასევე იმ ფაქტს, რომ ამ სტიქიების შედეგად მიყენებულ დიდ ზარალს შეუძლია საფრთხე შეუქმნას ამ ხელშეკრულების ხელისმომწერ სახელმწიფოებს, რომლებიც თითოეული მხარის შესაძლებლობების მიუხედავად წარმოადგენენ აღჭურვილობისა და სამუშაო ძალის მოთხოვნებს;

გადაწყვიტეს რა კატასტროფების შემთხვევაში ურთიერთდახმარება;

ესმით რა ერთმანეთთან თანამშრომლობის მნიშვნელობა ადამიანების, ბუნებისა და ქონების, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის სერიოზული ბუნებრივი, ტექნოლოგიური და სტიქიური კატასტროფებისგან და მისი შედეგებისგან დაცვის საქმეში, კერძოდ სათანადო პრევენციული ზომების მეშვეობით;

აღიარებენ რა, რომ ურთიერთდახმარების ფორმალური ხელშეკრულება ძალისხმევის უკეთ კოორდინირების შესაძლებლობას მისცემს, შესაფერისი აღჭურვილობისა და სამუშაო ძალის არსებობას და ურთიერთდახმარების რაც შეიძლება მოკლე დროში მიწოდებას უზრუნველყოფს;

ითვალისწინებენ რა 2003 წლის 26 ნოემბერს, კიშინოვში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ პოლიტიკურ დეკლარაციას;

გაითვალისწინეს რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია დეც(2002)3 წევრი ქვეყნებისადმი სასახლდგრო ტერიტორიებში ბუნებრივი და ტექნოლოგიური კატასტროფების შემთხვევაში სამოქალაქო დაცვასა და ურთიერთდახმარებაში ტრანსსასახლდგრო თანამშრომლობის შესახებ;

გაითვალისწინეს რა ტერიტორიულ თემებსა თუ ხელისუფლებებს შორის ტრანსსასახლდგრო თანამშრომლობის შესახებ ევროპის სახელმძღვანელო კონვენცია და მასზე დართული სანიშნუშო ხელშეკრულებები, კონკრეტულად კი სანიშნუშო ხელშეკრულება 2.12;

ისწრაფვიან რა ამ ხელშეკრულებით ხელი შეუწყონ ამ სფეროში მეტ თანამშრომლობას;

მტკიცედ გადაწვიტეს რა ამ გზით ემსახურონ ამ ქვეყნებს შორის დემოკრატიული სტაბილურობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის მიზნებს, რომელის წახალისებისთვისაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტი იღწვის და რომლის ხელმომწერებიც ისინი არიან;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1.

(ფარგლები)

1. მხარეები ამ ხელშეკრულებით ვალდებულებას იღებენ ერთმანეთს დახმარება აღმოუჩინონ თავიანთ სასახლდგრო ტერიტორიებზე ბუნებრივი თუ ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფების შემთხვევაში, შემდეგ მუხლებში მოცემული შეზღუდვების ფარგლებში.
2. მხარეები, თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის ჩარჩოებში, ვალდებულებას იღებენ დააწესონ, გააძლიერონ და განავითარონ სათანადო პრევენციული პროცედურები, მექანიზმები და ტექნიკა კატასტროფების წინააღმდეგ, სასახლდგრო ტერიტორიებში ადამიანთა სიცოცხლის, გარემოს, ქონებისა და კულტურული მემკვიდრეობის უკეთ დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 2

### (განმარტებები)

1. თითოეულმა მხარემ თავად უნდა განსაზღვროს ის სასაზღვრო ტერიტორიები, რომლებზეც წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები ვრცელდება და შესაბამისად, აცნობოს ეს სხვა მხარეებს;
2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის სასაზღვრო ტერიტორიების შემოფარგვლამ არავითარ შემთხვევაში არ შეუქმნას საფრთხე მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრების განსაზღვრასა და დემარკაციას
3. მხარეებმა განსაზღვრისა და განსაზღვრის პრაქტიკის შესახებ ინფორმაცია ერთმანეთში უნდა გაცვალონ იმის გადასაწყვეტად თუ რა სახის შემთხვევები მოხვდება წინამდებარე ხელშეკრულების რეგულირების ფარგლებში.

### მუხლი 3

#### (ტერიტორიული ხელისუფლებების როლი)

1. თითოეულმა მხარემ შესაბამისი ზომები უნდა მიიღოს, რომელიც ტერიტორიულ თემებსა და ხელისუფლებებს, შიდა კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული კომპეტენციებისა და ფუნქციების ფარგლებში, შესაძლებლობას მისცემს საზღვრის მიღმა შესაბამის ხელისუფლებებთან და თემებთან თანამშრომლობაში ჩაება წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ზომების განხორციელების მიზნით;
2. თითოეულმა მხარემ, ტერიტორიულ თემებსა თუ ხელისუფლებებს უნდა აცნობოს სასაზღვრო ტერიტორიებში არსებული საფრთხეების შესახებ და უნდა დაეხმაროს ბუნებრივი თუ ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფის შემთხვევაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის გაძლიერებასა და განვითარებაში გაწეული დახმარების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით და ასეთი თანამშრომლობის შესაძლო დამატარებელი ფაქტორების თავიდან აცილების მცდელობით.
3. სხვა მხარის ტერიტორიაზე დახმარების გამწევ ტერიტორიულ თემსა თუ ხელისუფლებას ხარჯები მე-10 მუხლის შესაბამისად უნდა აუნაზღაურდეს.

### მუხლი 4

#### (ინფორმირებისა და მზაობის გეგმები და პრაქტიკა)

1. თითოეული მხარის პასუხისმგებლობა უნდა იყოს წინამდებარე ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი ამოცანებისა და ფუნქციების შესასრულებლად ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობისთვის სამოქმედო გეგმებისა და პროგრამების შემუშავება და განახლება
2. მხარეებმა ერთმანეთში ინფორმაცია უნდა გაცვალონ ეროვნულ სამექმედო გეგმებთან დაკავშირებით, რომლებიც სათანადოდ გაითვალსწინებენ სიტუაციას, საჭიროებებს, პროცედურებსა და მეზობელი ქვეყნების მიერ მოწოდებულ მომსახურებებს
3. მხარეებმა ერთმანეთს რეგულარული ინფორმაცია უნდა მიაწოდონ თავიანთი სამოქმედო გეგმების შენაარსის შესახებ, მხოლოდ ეროვნული უშიშროებით გამართლებული შეზღუდვების ფარგლებში.
4. თითოეულმა მხარემ სამოქმედო გეგმებისა და პროცედურების ეფექტურობის შემოწმების მიზნით, მეზობელ ტრანსსასაზღვრო ორგანიზაციებს შორის

სასახლდრო ტერიტორიებში რეგულარული და მოულოდნელი სამაშველო  
წვრთნების ორგანიზების უზრუნველყოფის ვალდებულება უნდა აიღოს

მუხლი 5  
(ხელისუფლების დანიშვნა)

თითოეულმა მხარემ ხელისუფლება (შემდგომში: ხელისუფლება) უნდა დანიშნოს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბუნებრივი თუ ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფების შემთხვევაში დახმარების მოთხოვნასა თუ სხვა მხარეების სათანადოდ ინფორმირებაზე. მხარეებმა ერთმანეთს მუდმივად ამომწურავი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ზემოთხსენებული ხელისუფლების პასუხისმგებლობებში, მოქმედების მოდალობებსა და შესაძლებლობებში მომხდარი ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

მუხლი 6  
(პროცედურები)

1. მხარის ხელისუფლებას შეუძლია მეორე მხარისგან მოითხოვოს დახმარება ამ მხარის შესაბამის ხელისუფლებასთან დაკავშირებით, მოთხოვნა შეიძლება იყოს ვერბალური ან წერილობითი. ვერბალურის შემთხვევაში მოთხოვნა წერილობით უნდა დამწმდეს 48 საათის განმავლობაში.
2. მოთხოვნა შემდეგ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს:
  - კატასტროფის ადგილისა და ხასიათის აღწერას
  - გადაუდებელი მომსახურების აღწერას, რომლისთვისაც დახმარებაა საჭირო, მაგალითად და არა მხოლოდ, სახანძრო მომსახურება, სასწრაფო სამედიცინო დახმარება, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, საზოგადოებრივი პროექტები, ინჟინერია, მშენებლობის ინსპექცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, ლოგისტიკური მხარდაჭერა, ჯანმრთელობისა და სამედიცინო მომსახურება, საძიებო და სამაშველო მომსახურება;
  - საჭირო პერსონალის, აღჭურვილობის, მასალებისა და მომწოდებლების ტიპი და ოდენობა, ასევე, სავარაუდო დროის ხანგრძლივობა რაც ამ ყველაფერს დაჭირდება
  - დამხმარე მხარის მიერ დახმარების განთავსების კონკრეტული ადგილი და დრო, ასევე საკონტაქტო პუნქტი ამ ადგილზე.
3. ხელისუფლებამ, რომელსაც დახმარების მოთხოვნით მიმართავენ, სწრაფად უნდა გადაწყვიტოს და მეორე მხარის ხელისუფლებას აცნობოს რამდენად შეუძლია მოთხოვნილი დახმარების გაწევა. აღნიშნული უნდა იყოს გაწევადი დახმარების ფარგლები და პირობები, მათ შორის დახმარების სავარაუდო ღირებულება.
4. დახმარების გაწევის ხელშეწყობის მიზნით, გადაუდებელი სიტუაციების მართვაზე პასუხისმგებელმა ხელისუფლებებმა რეგულარულად უნდა გაცვალონ ინფორმაცია იმ დახმარების ბუნებისა და მასშტაბების შესახებ, რომლის გაწევისაც ისინი დაუყოვნებლივ შეძლებენ ბუნებრივი თუ ადამიანის საქმიანობის შედეგად გამოწვეული კატასტროფების შემთხვევაში.

მუხლი 7

## (დახმარების მიწოდება)

თითოეულმა ხელისუფლებამ, რომელსაც დახმარება ეთხოვა, ყველა სათანადო ნაბიჯი უნდა გადადგას მოთხოვნილი დახმარების მიწოდების უზრუნველსაყოფად, ყველა დამატებითი ზომა უნდა იხმაროს დახმარების მოთხოვნილი ხელისუფლების საჭიროებების რაც შეიძლება მეტად დაკმაყოფილების მიზნით.

## მუხლი 8

### (საზღვრის გადაკვეთის ფორმალობები)

1. მხარემ, რომლის ხელისუფლებაც ითხოვს დახმარებას, საჭიროების დადგომისთანავე, საზღვრის გადაკვეთის ფორმალობების, დამხმარე სამაშველო ჯგუფების (მათ შორის პერსონალი, ტრანსპორტი, სამაშველო აღჭურვილობა და სხვა, სამაშველო ოპერაციისთვის განკითვნილი აღჭურვილობა) მიერ საზღვრის გადაკვეთის საფასურებისა და სხვა ფორმალობების შემცირებისა და გამარტივების ვალდებულება უნდა აიღოს. მხარემ, რომლის ხელისუფლებაც ითხოვს დახმარებას, სადაც საჭიროა დამატებითი სასაზღვრო გამშვები პუნქტები უნდა გახსნას.
2. მხარემ, რომლის ხელისუფლებაც ითხოვს დახმარებას, გადაუდებელი ღონისძიებების მართვის უფლება დახმარების გამწვევი მხარის სამედიცინო პერსონალსა და სასწრაფოს მუშაკების უნდა მიანიჭოს.
3. იმ შემთხვევაში თუ სამაშველო ჯგუფები სამხედრო და ნახევრადსამხედრო შენაერთებსაც მოიცავს, დახმარების გამწვემა მხარემ მათი უიარაღო ჩარევა უნდა უზრუნველყოს.
4. მხარეებმა შეიძლება მოილაპარაკონ მე-2 და მე-3 პარაგრაფებში ნახსენები დახმარების მიწოდების პირობების დაწესებასთან დაკავშირებით.

## მუხლი 9

### (დახმარების ოპერაციის გაძღოლა)

1. დახმარების მომთხოვნი მხარის ხელისუფლებას აკისრია თავის ტერიტორიაზე დახმარების ზოგადი გაძღოლის, კონტროლის, კოორდინაციისა და ზედამხედველობის ფუნქცია, კატასტროფის ტერიტორიაზე ოპერაციათა მართვის სრული პასუხისმგებლობა
2. დახმარების გამწვევი მხარის სამაშველი ჯგუფები მსახურობენ თავიანთი ოფიცრების ბრძანებებისა და სამაშველო მომსახურების რეგულაციების, ასევე თავიანთ სახელმწიფოში მოქმედი სხვა რეგულაციების შესაბამისად.

## მუხლი 10

### (ზარალის მიყენება)

1. თითოეული მხარე ვალდებულია იღებ, სადაც შესაძლებელია მეზობელ ქვეყნებთან კონსულტაციების შედეგად და/ან ორმხრივი თუ მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე, შემოიღოს შემდეგ სიტუაციებთან გამკავების წესები:

- დახმარების გამწვევი მხარის მიერ სამაშველო მომსახურების გაწვევის დროს დახმარების მოხონელი მხარის ტერიტორიაზე, პიროვნებებზე თუ ქონებაზე მიყენებული ზიანი
  - დახმარების გამწვევი მხარის წარმომადგენლებისა და ქონების მიერ წვნეული ზიანი
  - დახმარების მოხონელი მხარის მირ დახმარების გამწვევი მხარისთვის, მათ შორის, ვითარებისდა მიხედვით, მისი ტერიტორიული თემებისა და ხელისუფლებებისთვის, გაწეული ხარჯების ანაზღაურება
2. თითოეულმა მხარე, ზოგადი წესის სახით, გამოავლენს კეთილ ნებას და როგორც წესი, უარს იტყვის ბუნებრივი თუ ტექნოლოგიური კატასტროფების ან სხვა, ადამიანის პასუხისმგებლობის ეჭვქვეშ არდამაყენებელი კატასტროფის შედეგად გაწეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნაზე.

### მუხლი 11

(დახმარების შეწყვეტა)

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დახმარების ოპერაციები უნდა შეწყდეს როცა:

- სამაშველო ოპერაციები დასმულ ამოცანას შეასრულებენ
- მხარეების ხელისუფლებები ერთობლივად გადაწყვეტენ რომ კატასტროფის მართვის ოპერაციების მეტად გაგრძლება საჭირო აღარ არის

### მუხლი 12

(დავების გადაწყვეტა)

წინამდებარე ხელშეკრულების ინტერპრეტირებასა და გავრცელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა მოლაპარაკების საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

### მუხლი 13

(თანხმობა ვალდებულების შესახებ)

სახელმწიფოებს შეუძლიათ თანხმობა განაცხადონ რომ იყვნენ ვალდებულნი;

ა. რატიფიკაციისთვის, მიღებისა და დამტკიცებისთვის გარკვეული პირობების გარეშე ხელმოწერით; ან

ბ. რატიფიკაციისთვის, მიღებისა და დამტკიცებისთვის გარკვეული პირობებით ხელმოწერით, რომელსაც რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება მოსდევს

### მუხლი 14

(შემნახველი)

... (....-ს რესპუბლიკას) ეკისრება ამ ხელშეკრულების შემნახველის როლი.

რაფტიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტები შემნახველ სახელმწიფოსთან შეინახება.

შემნახველი სახელმწიფო, ამ ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილე მხარეებსა და სახელმწიფოებს შეატყობინებს:

- ა. ხელმოწერების შესახებ
- ბ. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ნებისმიერი ინსტრუმენტის შენახვის შესახებ
- გ. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ მე-15 მუხლის შესაბამისად;
- დ. მე-2(1), მე-15 და მე-17 მუხლების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ
- ე. მე-18 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი დენონსაციის შესახებ
- ვ. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ აქტის, შეტყობინებისა თუ კომუნიკაციის შესახებ.

#### მუხლი 15

(ძალაში შესვლა)

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს სხვა ორიდან სულ ცოტა ერთთან საერთო საზღვრის მქონე სამი სახელმწიფოს მიერ მე-13 მუხლის თანახმად, ამ ხელშეკრულების ვალდებულებების აღებიდან .... თვიანი პერიოდის ამოწურვის შემდგომი თვის პირველ დღეს.
2. იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შემდგომში ჩათვლიან თავს ამ ხელშეკრულებით ვალდებულად, ხელშეკრულება ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღებისა თუ დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარებიდან ...-თვიანი პერიოდის ამოწურვიდან მომდევნო თვის პირველ დღეს

#### მუხლი 16

(ცვლილებები)

1. ხელშეკრულების ნებისმიერმა, ცვლილების მსურველმა მხარემ, შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს შემნახველ მხარეს. შემნახველმა მხარემ სხვა მხარეებს მიღებული ცვლილების შეტყობინების შესახებ უნდა აცნობოს
2. ნებისმიერი ცვლილება ძალაში უნდა შევიდეს შემნახველის მიერ ყველა მხარისგან ცვლილებაზე თანხმობის მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის შემდეგ. შემნახველმა ყველა მხარეს უნდა შეატყობინოს ნებისმიერი ასეთი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

#### მუხლი 17

(ტერიტორიული დათქმა)

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ხელშეკრულების გამოყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შემნახველის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით შეუძლია გაავრცელოს ამ ხელშეკრულების გამოყენება დეკლარაციაში

მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ხელშეკრულება ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ...-თვიანი ვადის ამოწურვას შემნახველის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი შემნახველისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს ....-თვიანი ვადის ამოწურვას შემნახველის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 18

(დენონსაცია)

1. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების დენონსაცია შემნახველისთვის შეტყობინების გაგზავნით
2. ასეთი დენონსაცია ამოქმედდება შემნახველის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ---თვიანი პერიოდის გასვლის შემდგომი თვის პირველ დღეს;

მომზადებულია ----, ინგლისურ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესაძლებელია გადაეცემა შემნახველის არქივს. შემნახველმა დამოწმებული ასლები უნდა გადაუგზავნოს თითოეულ მხარეს.

## დანართი II *CM/Rec(2007)5* რეკომენდაციაზე

**სანიმუშო ხელშეკრულება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებს შორის საზღვრების გადაკვეთაზე**

---ის მთავრობები, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ რა, რომ ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობა კეთილმეზობლური ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს,

ესმით რა, რომ საზღვრებს მიღმა მიმოსვლა სასაზღვრო ტერიტორიების სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს;

გათავისებული აქვთ რა 2003 წლის 26 ნოემბერს, კიშინოვში, მოლდოვაში, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული პოლიტიკური დეკლარაცია;

მტკიცედ გადაწვიტეს რა ამ გზით ემსახურონ ამ ქვეყნებს შორის დემოკრატიული სტაბილურობის, სოლოდარობისა და თანამშრომლობის მიზნებს, რომელთა წახალისებისთვისაც სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობის პაქტი იღვწის და რომლის ხელმომწერებიც ისინი არიან;

გაითვალისწინეს რა შესაბამისი ხელშეკრულებების, მათ შორის მოქმედისა და ევროპის კავშირის კანონმდებლობის მოთხოვნები;

სურთ რა გაამარტივონ ის პროცედურები და პირობები, რომლითაც სასაზღვრო ტერიტორიების მკვიდრთ საზღვრების გადაკვეთა შეუძლიათ;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

(ხელშეკრულების მიზანი)

წინამდებარე ხელშეკრულება სმიზნად ისახავს სასაზღვრო ტერიტორიებზე კანონიერად მცხოვრები პირების (შემდგომში: მცხოვრებლები) ნებისმიერი კანონიერი მიზნით საზღვრის გადაჭრის პროცედურების გამარტივებისათვის საერთო წესების შემოღებას;

მუხლი 2

(სასაზღვრო ტერიტორიების განსაზღვრა)

1. თითოეულმა მხარემ თავად უნდა განსაზღვროს ის სასაზღვრო ტერიტორიები, რომლებზეც ამ ხელშეკრულების პირობები გავრცელდება და შესაბამისად უნდა აცნობოს ხელშეკრულების სხვა მხარეებს;
2. სასაზღვრო ტერიტორიებში უნდა შევიდეს ტერიტორიული თვითმმართველობის ყველაზე დაბლა მდგომი ერთეულები საზღვრის გასწვრივ და ამავე ერთეულების სასაზღვრო ხაზიდან მაქსიმუმ 50 კილომეტრის დაშორებით მოსაზღვრე ტერიტორია
3. მხარეებს შეუძლიათ სასაზღვრო ტერიტორიების უფრო ფართო განსაზღვრაზე შეთანხმდნენ
4. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის, სასაზღვრო ტერიტორიის განსაზღვრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუქმნას საფრთხე მხარეებს შორის სახელმწიფო საზღვრების განსაზღვრასა და დემარკაციას.

მუხლი 3

(საიდენტიფიკაციო დოკუმენტები)

1. სასაზღვრო ტერიტორიების მცხოვრებთ უფლება უნდა ჰქონდეთ საზღვარი გადაკვეთონ მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტებით, ვიზის ან საზღვრის გადაჭრისთვის დაწესებული მოსაკრებლის გარეშე.
2. მცხოვრებთა მიერ მხოლოდ საზღვრის გადაჭრისთვის მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გაცემა არ უნდა იყოს პასპორტისა თუ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გაცემაზე ძვირი და არ უნდა სჭირდებოდეს მეტი დრო.
3. თითოეულმა მხარემ უნდა განსაზღვროს საზღვრის გადაჭრისთვის მოქმედი საიდენტიფიკაციო დოკუმენტები და შესაბამისად უნდა აცნობოს სხვა მხარეებს. საზღვრის გადაჭრისთვის მოქმედი დოკუმენტების ნუსხა ჩამოთვლილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.

მუხლი 4

(მცხოვრებლები)

1. მცხოვრებლები ის პირები არიან, რომლებიც ასეთებად მიიჩნევიან თითოეული მხარის კანონმდებლობით.

2. მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ რომ ამ ხელშეკრულებით სარგებლობის მსურველ პირებს ამათუიმ სასაზღვრო ტერიტორიაზე დროის გარკვეული პერიოდი უნდა ეცხოვროს.
3. 14 წლამდე პირები, რომლებიც მცხოვრებთა ოჯახს მიეკუთვნებიან, მცხოვრებთათვის არსებული პირობებით ისარგებლებენ.
4. მხარეებმა შეიძლება მოითხოვონ რომ 14 წლამდე ასაკის პირებს საზღვრის გადაკვეთის უფლება მხოლოდ იმ მცხოვრების თანხლებით მიეცეს, რომელზეც წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ვრცელდება

#### მუხლი 5

(სასაზღვრო გამშვები პუნქტები)

1. მცხოვრებლებს საზღვრის გადაკვეთის უფლება უნდა ქონდეთ თავიანთი ქვეყანასა და მეზობელ ქვეყანას შორის ნებისმიერი სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით.
2. თითოეულმა მხარემ, მხოლოდ მცხოვრებთა მიერ გამოყენებისთვის შეიძლება გამოყოს კონკრეტული სასაზღვრო გამშვები პუნქტები.
3. ასეთი გამოყოფილი სასაზღვრო გამშვები პუნქტები უნდა არსებობდეს საკმარისი რაოდენობით და უნდა ემსახურებოდეს მცხოვრებთა მიერ მეზობელ ქვეყანაში გადასვლის გამარტივებას ზედმეტი დაყოვნებისა და გაჭიანურებული მეზავრობის გარეშე;
4. თითოეულ მხარეს კანონით დადგენილი იდენტიფიცირებისა და უსაფრთხოების კონტროლის ღონისძიებების გატარების უფლება უნდა ქონდეს

#### მუხლი 6

(სამუშაო საათები)

თითოეულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს მცხოვრებთათვის სასაზღვრო გამშვები პუნქტების ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, სულ ცოტა დღეში 12 საათის განმავლობაში მუშაობა, ასევე შაბათ-კვირასა და ოფიციალურ გამოსასვლელ დღეებში, დღეში სულ ცოტა 6 საათის განმავლობაში მუშაობა, შესაძლოა სამუშაო საათების დღისა და საღამოს ცვლებად დაყოფით.

#### მუხლი 7

(ვიზიტის ხანგრძლივობა)

1. მხარეები უნდა შეთანხმდნენ მეზობელ ქვეყანაში თითოეული ვიზიტის მაქსიმალური ხანგრძლივობის შესახებ, რომელიც არ უნდა იყოს 12 უწყვეტ საათზე ნაკლები, რომლის განმავლობაშიც მცხოვრებლებს მეზობელი ქვეყნის სასაზღვრო ტერიტორიაზე ყოველგვარი ფორმალობების გარეშე დარჩენის უფლება ექნება.
2. არ უნდა არსებობდეს მეზობელ ქვეყანაში ვიზიტების რაოდენობაზე რაიმე შეზღუდვა, თუ საპირისპორო არ არის გათვალისწინებული ორმხრივ ხელშეკრულებებში
3. ვიზიტის მაქსიმალური ხანგრძლივობის ამოწურვის შემდეგ საცხოვრებელ ქვეყანაში არ დაბრუნების შემთხვევაში, მცხოვრებმა პოლიციის უახლოეს განყოფილებას უნდა მიმართოს-გასამართლებელი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში- ვიზის გაგრძელების, ან საზღვრის თავისუფლად გადაკვეთის

დოკუმენტის მოპოვებისთვის, რაც მას თავისი წარმოშობის ქვეყანაში 12 საათის განმავლობაში დაბრუნების უფლებას მისცემს.

4. მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე ვიზიტის დროს, მცხოვრებლები იმ ქვეყანაში მოქმედ კანონებსა და რეგულაციებს და წინამდებარე ხელშეკრულებების მოთხოვნებს დაექვემდებარებიან.
5. მხარეებმა ერთმანეთში ინფორმაცია უნდა გაცვალონ თავიანთ ტერიტორიებზე, სასაზღვრო ტერიტორიების მიღმა, ამ ტერიტორიებზე შესვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე ნაპოვნი პირების სანქციების შესახებ.

## მუხლი 8

(პირადი ნივთები და პროფესიული აღჭურვილობა)

1. მცხოვრებთ უფლება უნდა მიეცეთ საზღვარი გადაჭრან სახმელეთო თუ საზღვაო სატრანსპორტო საშუალებით და თან ატარონ ახლად შეძენილი საქონელი, რომლის ღირებულებაც არ აღემატება 175 (ასსამოცდათხუთმეტი) ევროს. ამ თანხაზე მეტი ღირებულების საქონელზე გავრცელდება მცხოვრების მიმღები მხარის საბაჟო და სავალუტო რეგულაციები
2. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ სპეციალური ხელშეკრულებებზე, რომლებიც მცხოვრებთა მიერ გადატანილი საქონლის მაქსიმალური ღირებულების აწვევისა და მაცხოვრებლების მათ მიერ იმპორტირებულ თუ ექსპორტირებულ საქონელზე საბაჟო მოსაკრებლისგან ნაწილობრივ ან სრულად გათავისუფლების მიზნით.
3. ნებისმიერი სატრანსპორტო საშუალება, მიმღები ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნდა იყოს დაზღვეული
4. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ კონკრეტულ ხელშეკრულებებზე, რომლებიც იმ პირობებს დაარეგულირებს, რომლებშიც ადამიანებს, სოფლისმეურნეობასთან, მეტყვევობასთან, მეთევზეობასა და მეცხოველეობასთან დაკავშირებულ დანადგარებსა და საქონელს გაუადვილებს საზღვრის გადაჭრას თავიანთი მიწის კულტივირების, პირუტყვის მოვლისა და ტყესა თუ წყალზე ზრუნვის მოტივით.

## მუხლი 9

(განხორციელების ზომები)

1. თითოეულმა მხარემ , წინამდებარე ხელშეკრულების სრულად ამოქმედებისთვის საშინაო დონეზე საჭირო ზომები უნდა მიიღოს
2. მხარეებმა არსებული წესების შესახებ თავიანთი ხელისუფლებისა და დაინტერესებული პირების სრულად ინფორმირების მიზნით შესაბამისი ინფორმაციები უნდა გაცვალონ ერთმანეთში.
3. მხარეები, საჭიროების შემთხვევაში, დაყოვნების გარეშე უნდა შეთანხმდნენ ორმხრივ ხელშეკრულებებზე წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნებთან ერთმანეთს შორის ურთიერთობების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

## მუხლი 10

(უმჯობესი პირობები)

1. წინამდებარე ხელშეკრულება ხელს არ შეუშლის მხარეებს შორის დადებულ ან სხვა მხრივ ძალაში მყოფ სხვა ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში მოცემულ უმჯობეს პირობებს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოქალაქეებისა და პირების სასარგებლოდ.
2. მხარეებმა მათ შორის არსებულ მოქმედ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს უნდა გადახედონ ან ახალი შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადება უნდა წაახადისონ მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოქალაქეებისა და პირების წინამდებარე ხელშეკრულებასთან შედარებით უმჯობეს პირობებში ჩაყენების მიზნით.
3. წინამდებარე ხელშეკრულების არცერთი პირობა მიზნად არ ისახავს მხარეების სხვა ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი მოქალაქეებისა და პირებისთვის მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვას

### მუხლი 11

(დავების გადაწყვეტა)

წინამდებარე ხელშეკრულების ინტერპრეტირებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა პირველ რიგში მოლაპარაკებების მეშვეობით უნდა გადაწყდეს

### მუხლი 12

(თანხმობა ვალდებულების შესახებ)

სახელმწიფოებს შეუძლიათ თანხმობა განაცხადონ რომ იყვნენ ვალდებულნი:

- ა. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების გარკვეული პირობების გარეშე ხელმოწერით; ან
- ბ. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების გარკვეული პირობებით ხელმოწერით, რომელსაც რატიფიკაცია, მიღება ან დამტკიცება მოსდევს

### მუხლი 13

(შემნახველი)

... (....-ს რესპუბლიკას) ეკისრება ამ ხელშეკრულების შემნახველის როლი.

რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ინსტრუმენტები შემნახველ სახელმწიფოსთან შეინახება.

შემნახველი სახელმწიფო, ამ ხელშეკრულების შემუშავებაში მონაწილე მხარეებსა და სახელმწიფოებს შეატყობინებს:

- ა. ხელმოწერების შესახებ
- ბ. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების ნებისმიერი ინსტრუმენტის შენახვის შესახებ
- გ. წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის ნებისმიერთარდის შესახებ მე-14 მუხლის შესაბამისად;
- დ. მე-2(1), მე-3 (3) და მე-16 მუხლების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ

- ე მე-17 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერი დენონსაციის შესახებ
- ვ. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერ აქტის, შეტყობინებისა თუ კომუნიკაციის შესახებ.

#### მუხლი 14.

(ძალაში შესვლა)

1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში უნდა შევიდეს სხვა ორიდან სულ ცოტა ერთთან საერთო საზღვრის მქონე სამი სახელმწიფოს მიერ მე-12 მუხლის თანახმად, ამ ხელშეკრულების ვალდებულებების აღებიდან ... თვიანი პერიოდის ამუწირვის შემდგომი თვის პირველ დღეს.
2. იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შემდგომში ჩატვლიან თავს ამ ხელშეკრულებით ვალდებულად, ხელშეკრულება ძალასი შევა რატიფიკაციის, მიღებისა თუ დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარებიდან ...-თვიანი პერიოდის მოწერივიდან მომდევნო თვის პირველ დღეს

#### მუხლი 15

(ცვლილებები)

1. ხელშეკრულების ნებისმიერმა, ცვლილების მსურველმა მხარემ, შესაბამისი შეტყობინება უნდა გაუგზავნოს შემნახველ მხარეს. შემნახველმა მხარემ სხვა მხარეებს მიღებული ცვლილების შეტყობინების შესახებ უნდა აცნობოს
2. ნებისმიერი ცვლილება ძალაში უნდა შევიდეს შემნახველის მიერ ყველა მხარისგან ცვლილების მიღების შესახებ შეტყობინების მიღებიდან 30 დღის შემდეგ. შემნახველმა ყველა მხარეს უნდა შეატყობინოს ნებისმიერი ასეთი ცვლილების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

#### მუხლი 16

(ტერიტორიული დათქმა)

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ხელშეკრულებით გამოყენება.
2. ნებისმიერ სახელმწიფოს მოგვიანებით ნებისმიერ დროს, შემნახველის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით შეუძლია გაავრცელოს ამ ხელშეკრულების გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ამგვარი ტერიტორიის მიმართ, ხელშეკრულება ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოხდევს ...-თვიანი ვადის ამოწურვას შემნახველის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან.
3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, მასში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი შემნახველისათვის შეტყობინების გაგზავნის საშუალებით. უკან გამოთხოვა ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს,

რომელიც მოსდევს ....-თვიანი ვადის ამოწურვას შენმასველის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან.

მუხლი 17

(დენონსაცია)

3. ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ დროს შეუძლია წინამდებარე ხელშეკრულების დენონსაცია შენმასველისთვის შეტყობინების გაგზავნით
4. ასეთი დენონსაცია ამოქმედდება შენმასველის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ---თვიანი პერიოდის გასვლის შემდგომი თვის პირველ დღეს;

მომზადებულია ----, ინგლისურ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად გადაეცემა

შენმასველის არქივს. შენმასველმა დამოწმებული ასლები უნდა გადაუგზავნოს თითოეულ მხარეს.